ხელშეკრულება N112

ქ.ხაშური 29 ოქტომბერი 2017 წელი

ერთი მხრივ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე მარეხ გოგალაძე** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია: სადღესასწაულო ტორტის შეძენა ა.ა.ი.პ ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების მიერ გაწეული შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ფილმისა და თოჯინების თეატრის სპეკტაკლის პრემიერა-პრეზენტაციაზე მოწვეული სტუმრებისათვის CPV:15812100

(შემდგომში მომსახურება), მიწოდება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100.00 (ასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ორგანიზაციის შიდა შემოსავლებიდან;

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე, 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური;

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2017 წლის 30 ოქტომბერს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში;

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი
მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის პირველ დეკემბრამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება	**ი.მ მარეხ გოგოლაძე**
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	ხაშური, კალინინის ქუჩა საიდენტეიფიკაციო კოდი 01001064822 ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE58BG0000000903624800
გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	ინდ მეწარმე მარეხ გოგოლაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ხაშური 2017 წლის 30 ოქტომბერი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ ინდივიდუალური მეწარმე მარეხ გოგალაძე, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 29 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება N112-ის საფუძველზე, მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა 100.00 (ასი) ლარის ღირებულების სადღესასწაულო ტორტი „ხელშეკრულების საგანია: საკვები პროდუქტის შეძენა ა.ა.ი.პ ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების მიერ გაწეული შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ფილმისა და თოჯინების თეატრის სპექტაკლის პრემიერა-პრეზენტაციაზე მოწვეული სტუმრებისათვის

აქტს ხელს ვაწერთ და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გაგვაჩნია:

მიმღები

გიორგი ბოლოკაძე

ჩააბარა

მარეხ გოგალაძე